დამტკიცებულია
შპს მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის
15.10.2018 ბრძანება N11
ცვლილება განხორციელდა
05.06.2019 ბრძანება N16
31.03.2023 წლის ბრძანება N 00002952

შპს მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯი

სტრატეგიული განვითარების 7 წლიანი გეგმა

თბილისი
2019

შპს მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯის (შემდგომში კოლეჯის) საქმიანობა ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო სივრცეში აღიარებულ პრინციპებსა და მიდგომებს. კოლეჯი მიზნად ისახავს შექმნას ისეთი საგანმანათლებლო სივრცე, რომელიც პასუხისმგებელი იქნება მის მიერ მომზადებული კადრების კვალიფიციურობაზე. კოლეჯს მიაჩნია, რომ მისი თანმიმდევრული განვითარებისათვის აუცილებელი ინდიკატორია - სტრატეგიის სათანადოდ ფორმულირება, რომელიც მოიცავს კოლეჯის მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად შემუშავებულ მიდგომასა და ხედვას.

იმისათვის, რომ კოლეჯი იყოს ბაზარზე კონკურენტუნარიანი და მისი საქმიანობა იყოს წარმატებული და ეფექტიანი, კოლეჯში შემუშავებულია სამომავლო ხედვა-სასურველი მომავლის სურათი, რომლისკენაც ისწრაფვის ის, აგრეთვე გაწერილია კოლეჯის საქმიანობის გეგმა - სტრატეგიული გეგმის სახით, რომელიც კოლეჯის მიერ შვიდ წლიან პერსპექტივაში დანახული განვითარების მიმართულებაა.

საქმიანობის დაგეგმვა მისი მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებით იწყება, რადგან სწორედ მათი საშუალებით განისაზღვრება თუ რა მიზნით შეიქმნა კოლეჯი, როგორ ხედავს იგი საკუთარ წარმატებას ხანგრძლივ პერსპექტივაში და რა მიდგომებით აპირებს აღნიშნულ შედეგამდე მისვლას.

ხედვა არის სასურველი, იდეალური მომავლის სურათი; მისია - განაცხადი იმის თაობაზე, თუ როგორ, რა მიდგომებით აპირებს კოლეჯი ხედვის მიღწევას, რისთვის ფუნქციონირებს და რა წარმოადგენს მის დანიშნულებას. მისია მოიცავს იმ ძირითად ღირებულებებს, რომლითაც დაწესებულება ხელმძღვანელობს თავის საქმიანობაში.

მისია

კოლეჯის მისიაა განახორციელოს ქვემო ქართლის რეგიონში თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი, შრომის ბაზარზე ორიენტირებული მრავალი პროფილის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, ხელმისაწვდომი გახადოს პროფესიული განათლება ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის, ხელი შეუწყოს მოქალაქეთა მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლისა და დასაქმების შესაძლებლობას და იზრუნოს რეგიონის მოსახლეობის სამოქალაქო ინტეგრაციისთვის

ხედვა

2025 წლისათვის შპს მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯი იქნება წარმატებული, რეგიონში ცნობილი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც უპასუხებს საქართველოსა და ქვემო ქართლის რეგიონის წინაშე არსებულ გამოწვევებს, რომელთა კურსდამთავრებულებზე იქნება დიდი მოთხოვნა ქვემო ქართლის რეგიონის მასშტაბით.

ღირებულებები:

- ✓ პროფესიონალიზმი;
- ✓ მუდმივ განვითარებაზე ორიენტირებულობა;
- ✓ გუნდური მუშაობა და თანამშრომლობითი გარემოს შექმნა;
- ✓ სწავლის და სწავლების თანაბარი შესაძლებლობა ნებისმიერი მოქალაქისთვის;
- ✓ ღიაობა და საჯაროობა;
- ✓ ინოვაცია და სიახლისადმი სწრაფვა;
- ✓ პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობა;
- ✓ სამოქალაქო ინტეგრაცია და თანასწორობა;

კოლეჯი სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში იყენებს SWOT ანალიზს, რაც გულისხმობს კოლეჯის ძლიერი და სუსტი მხარეების, ასევე, შესაძლებლობებისა და საფრთხეებისა გაანალიზებას.

SWOT მატრიცის მეშვეობით შეიძლება დადგინდეს თუ რა ძლიერი, სუსტი მხარეები და შესაძლებლობები აქვს კოლეჯს და რა საფრთხეების წინაშე დგას ის. SWOT-ანალიზი დაგვეხმარა სტრატეგიული გეგმის სათანადოდ მომზადებაში და საფუძვლად დაედო მის ფორმულირებას. სტრატეგიულ გეგმაში შეტანილია ისეთი კომპონენტები, რომლებიც მინიმუმამდე დაიყვანს კოლეჯის სუსტ მხარეებს და საფრთხეებს და გაზრდის ძლიერი მხარეებსა და შესაძლებლობებს.

კონკრეტული რისკები მოცემულია შესაბამის ცხრილში.

- კეთილმოწყობილი და უსაფრთხო სასწავლო გარემო;
- მოტივირებული, კომპეტენტური, ინოვაციებზე და მუდმივ განვითარებაზე ორიენ-ტირებული პერსონალი;
- მაღლაკვალიფიციური, გამოც-დილი პროფესიული განათლების მასწავლებლები;
- დამსაქმებლებთან აქტიური თანამშრომლობა;
- ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით არჩეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები;
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის მსურველთა დიდი რაოდენობა;
- მრავალფეროვანი სტუდენტური სერვისები;
- მულტიკულტურული პერსონალი.

S

ძლიერი მხარე

- შეზღუდული ფინანსური რესურსი ;
- სახელმწიფო კოლეჯებთან არათანაბარ პირობებში ყოფნა;
- ფართის სიმცირე;
- პროგრამის განმახორციელებელი პირების პროფესიული განათლების მასწავლებლების ნაკლებობა;
- არასტაბილური ეკონომიკური მდგომარეობა ქვეყანაში.

W

სუსტი მხარე

- ეროვნულ და საერთაშორისო პროექტებში ჩართვის შესაძლებლობები;
- პროფესიული განათლების სისტემაში ტექნოლოგიური სიახლეების ხელმისაწვდომობა;
- კერძო სექტორის მზარდი დაინტერესება პროფესიული განათლების სისტემით;
- კოლეჯის ცნობადობის გაზრდა;
- პროფესიული განათლების პოპულარიზაცია რეგიონში;
- დამსაქმებლებთან და ბიზნეს-სექტორთან კავშირის გაღრმავება.

O

შესაძლებლობები

- არასტაბილური ეკონომიკური გარემო;
- მაღალი კონკურენცია პროფესიული განათლების სფეროში;
- ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები განათლების სისტემაში;
- პროფესიული განათლების არაპოპულარობა;
- კადრების გადინების საფრთხე.
- პანდემია და სხვა კოლეჯისგან დამოუკიდებელი საფრთხეები.

T

საფრთხეები

	სტრატეგიული მიზანი 1	შრომის ბაზარის მოთხოვნის შესაბამისი პროგრამების განხორციელება									
N	ამოცანა	შესრულების ვადა								შესრულების ინდიკატორი	პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული
		2018	2019	2020	2021	2022	2023	2024	2025		
1	ავტორიზაციის სტატუსის მოპოვება და შენარჩუნება									ავტორიზებული კოლეჯი.	დირექტორი, დირექტორის მოადგილე (სასწავლო დარგში) და ყველა სტრუქტურული ერთეული.
2	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა, განხორციელება და განვითარება, დამსაქმებლებთან ურთიერტობების ჩამოყალიბება.									არანაკლებ დანერგილია 4 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა 2025 წლისთვის.	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი.
3	პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების დანერგვა, განხორციელება და განვითარება.									დანერგილია სულ მცირე 1 პროფესიული მომზადების და გადამზადების პროგრამა 2024 წლისთვის.	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი.
4	ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის დანერგვა და განვითარება, სწავლისა და სწავლების ხარისხის მუდმივი კონტროლი.									დანერგილია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა. (კოლეჯის თვითშეფასების დასკვნა)	დირექტორის მოადგილე(სასწავლო დარგში), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, სასწავლო პროცესის მართვის სამსახური.

	სტრატეგიული მიზანი 2	მატერიალური, საინფორმაციო და მდგრადი ფინასური რესურსის განვითარება									
N	ამოცანა	შესრულების ვადა								შესრულების ინდიკატორი	პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული
		2018	2019	2020	2021	2022	2023	2024	2025		
1.	მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება.									გაუმჯობესებულია მატერიალური რესურსი.	დირექტორის მოადგილე (სამეორნეო და უსაფრთხოების დარგში); ფინანსური მენეჯერი, კომპიუტერული უზრუნველყოფის სპეციალისტი.
2.	ფინანსური მდგრადობა.									მდგრადობა უზრუნველყოფილია დაფინანსების დივერსიფიცირებული წყაროებით.	დირექტორი, ფინანსური მენეჯერი.
3.	ბიბლიოთეკის განახლება, წიგნადი ფონდის გაუმჯობესება.									შეძენილი და განახლებული თანამედროვე ლიტერატურა.	ბიბლიოთეკა, ფინანსური მენეჯერი.

	სტრატეგიული მიზანი 3	ადამიანური რესურსის განვითარება									
N	ამოცანა	შესრულების ვადა								შესრულების ინდიკატორი	პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული
		2018	2019	2020	2021	2022	2023	2024	2025		
1	პერსონალის განვითარებაზე ზრუნვა.									ყოველწლიურად გადამზადებული თანამშრომლები სხვადასხვა მიმართულებით.	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი.
2	პერსონალის მართვის პოლიტიკის დანერგვა და მუდმივი გაუმჯობესება.									დანერგილი პერსონალის მართვის პოლიტიკა.	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი, შრომის უსაფრთხოების დაცვის თანამშრომელი.

	სტრატეგიული მიზანი 4	კოლეჯის პოპულარიზაცია									
N	ამოცანა	შესრულების ვადა								შესრულების ინდიკატორი	პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული
		2018	2019	2020	2021	2022	2023	2024	2025		
1	კოლეჯის ცნობადობის გაზრდა, პროფორიენტაციული აქტივობების განვითარება.									ცნობადობის გაზრდის მიზნით ჩატარებულია ღონისძიებები; ჩატარებული შეხვედრები სკოლებთან, სასწავლო ცენტრებთან და დაინტერესებულ პირებთან, შევსებული კონტიგენტი.	პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა მომსახურების, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის უზრუნველყოფის მენეჯერი, საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი.
2	საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგიის დანერგვა და მუდმივი გაუმჯობესება.									დანერგილია და განხორციელებულია საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგია.	დირექტორის მოადგილე(სასწავლო დარგში), საზოგადოებასთანურთიერ თობის მენეჯერი

	სტრატეგიული მიზანი 5	სტუდენტური სერვისების, საქმიანი ურთიერთობების გაუმჯობესება, მათი და კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობა									
N	ამოცანა	შესრულების ვადა								შესრულების ინდიკაროტი	პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული
		2018	2019	2020	2021	2022	2023	2024	2025		
1	პროფესიული სტუდენტების/მსმენელის და კურსდამთავრებულების კარიერული მხარდაჭერა									ყოველწლიურად დასაქმებასთან დაკავშირებით ჩატარებული მინიმუმ 2 აქტივობა; დასაქმების მიზნით პარტნიორებთან გაფორმებული მემორანდუმი; ჩატარებული დასაქმების ფორუმები და დასაქმებული კურსდამთავრებულების სტატისტიკური მაჩვენებლები.	პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა მომსახურების, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის უზრუნველყოფის მენეჯერი, საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი.
2	სტუდენტური სერვისების განვითარება.									შექმნილი თვითმართველობა.	პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა მომსახურების, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის უზრუნველყოფის მენეჯერი, საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი.